# ბახტრიონი

ფასი 10.000 მ.

სტამბის მისამართი: სამხედრო სტამბა, ლორის—მელიქოვის ქ. № 3. ტელეფ. 8—61 განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 7 | 1922 წ. | ორშაბათი 21 აგვისტო | № 7



## ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის
# დიდი ლატარია

### საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

| | |
|---|---|
| პირველი მოგება . . . . . . 500 მილიონი | ბილეთი ღირს მხოლოდ . . . . 100,000 მან. |
| მეორე . . . . . . . . 150 „ | კუპონი „ „ . . . . . 25.000 „ |
| მესამე . . . . . . . . 50 „ | —ხვედრი მოგების მიღება 48 საათში.— |
| ქართული ბონებით | |

გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.

**მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200000000 მან.**

ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში. კრ. 149.

**ლატარიის მომწყობი კომისია.**


# ქართული თეატრი

წარსულში თეატრი აძლევდა ტიანს ლიტერატურასთან ერთად ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეროვნულ გულის ცემას. თეატრში იდგმებოდა ბარიკადები სულის და შეგნების ეროვნულ ფრონტის დაცვისათვის. ხდებოდა გმირულ გადმოცემათა ხორცსხმა. თეატრი გალესილი იყო თავადების რომანტიკით და ეს ბუნებრივი რეაქცია იყო ეროვნულ სახეობის შენარჩუნებისათვის.

დღესაც უცხო კულტურა იერიშებზეა გადმოსული. სამი წლის განმავლობაში მისი მოციქულები აქ იყვენ გამოხვეწილი ემიგრანტები და ბრძოლას უფრო სპორადიული ხასიათი ჰქონდა. ახლა იგი იღებს სისტემას და სიმკაცრეს ამასთანავე უფრო ხელშესახებია და საგრძნობი იერიშები სასცენო ხელოვნების სფეროში.

ქართულ პოეზიას საკმაოდ აქვს გამაგრებული წვივები და მისი ზურგით დაცემა არც ისე იოლია. უმწეო მდგომარეობაშია მხოლოდ თეატრი ქართული. ამ მხრივ ტფილისი გამოუცნობი სფინქსია დღეს: არის იგი სატახტო ქალაქი საქართველოსი თუ უცხოეთიდან სტუმრად და შეიძლება გულში მასპინძლადაც მოსულ ელემენტების? ყოველ შემთხვევაში ქართული სიტყვა თეატრში კვდება აგონიაში და ეს ხდება ჩვენ თვალწინ. გაივლის კვირეები და ქართულ აფიშის წაკითხვის მონატრული ხდება ქართველი.

საერთო ტეხას სტრუქტურისას მოყვა თეატრის გადატეხაც, თუმცა სამწუხაროდ ისეთი მაშტაბით და გა ქანებით, რომ შესაძლებელია მისი გამართვა წელში შეუძლებელიც გახდეს და მხოლოდ მორფის შეშხაპუნებით განაგრძოს სიცოცხლე.

უდავოა მხოლოდ, რომ $1^1/_2$ წლის განმავლობაში ქართული თეატრი დაემსგავსა ლეშს, რომლის ახლო გაკარებაც კი დაიზარა საზოგადოებამ. ამისთვის იყო გარდუვალი პირობები, უფრო კი ფსიხოლოგიური მომენტი. იყო ისეთი ნიუანსებიც საერთო თეატრის პოლიტიკაში, რომლებმაც სრული დეზორგანიზაცია შეიტანა შიგ.

თეატრი სათუთი სამხატვრო ორგანიზაციაა და მოითხოვს მკაცრ დისციპლინას და გარკვეულ პოლიტიკას. ორივეს მოკლებული იყო იგი. არსებობდა ხელოვნების განყოფილება, შემდეგ სახელოვნო კომიტეტი, შემდეგ აკადემიური თეატრების მმართველობა, ისევ სახელოვნო კომიტეტი და ახლა ისევ მმართველობის პროექტი ამოტივტივდა. არ არის გარანტია რომ ეს, იქნება უკანასკნელი უშუალო პატრონი თეატრის.

ეს იწვევს ნერვიულობას და ნების დაშლას. ასეთ პირობებში თეატრის ბედი განწირულია, უმეტეს ქართული თეატრის, რომელიც ისედაც კრიზისის ქვეშ არის მოქცეული. ახლოვდება სეზონი. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებული უნდა იყვეს, მაგრამ დღესაც არავინ იცის ვინ იქნება საბოლოოდ მისი უშუალო პატრონი. ქართული თეატრის საკითხი დიდი ეროვნული საკითხია და მას სჭირდება მეტი ყურადღება და სიყვარული.

უნდა მოისპოს ძირში საქანელის პოლიტიკა, რომელსაც აქვს ორი უკიდურესი პოლიუსი. უნდა ჩამოშორდეს თეატრს აგრეთვე შემთხვევითი მოსული პერსონაჟები და ჩამოყალიბდეს გარკვეულობა.

პირველ ყოვლისა თვით ქართულ თეატრის მოღვაწეებს მართებთ ძალების მობილიზაცია და მუშაობის გაცხოველება. ამ მხრივაც დაუდევრობას აქვს ადგილი. თქმა არ უნდა დღევანდელი სახე ქართული თეატრის არის კომპრომისი, მაგრამ მის არსებობას მოითხოვს გარდუვალი ერის ინტერესი. ქართულ თეატრს სჭირდება ძირეული ოპერაცია მაგრამ იგი პარალელური გზით არის შესაძლებელი. თუ არ იქნა ერთი სკოლის დისციპლინის ქვეშ გატარებული კადრი არტისტებისა, თეატრიც არ იქნება როგორც კულტურულ-ეროვნულ იდეების გამტარებელი. დღის საკითხათ უნდა დაისვას სტუდიის დაარსება. მოსკოვში სტუდიის გახსნას მრავალი დაბრკოლებები და შემავალი მიზეზები უშლიან ხელს. ამას არ მოითხოვს არც ეროვნული და არც ხელოვნების ინტერესები. ქართულ ნიადაგს მოშორებული ახალგაზრდობა ვერაფერს შეჰქმნის ხელშესახებს. მთელი ენერგია ტფილისში უნდა დაგროვდეს ჯერ ჯერობით აქ უნდა მოეწყოს სტუდია ვისაც შესტკივა გული ქართულ კულტურისთვის, მას ფართო ასპარეზი გადაეშლება ადგილობრივად სამუშაოდ. ვინც დაინტერესებულია ქართული თეატრის მომავლით, სტუდიას უნდა მისცეს თავისი დახმარება, ინტელექტუარული, მორალური თუ მატერიალური. საქართველო იმდენად მაგარია კულტურულად და ამაყი ეროვნული შეგნებით რომ მოსკოვში სტუდიის დაარსებას არ მიიღებს. და სამხატვრო თეატრში არ წავა სალოცავად ფეხშიშველი და ქუდ მოხდილი.

# ვაჟა-ფშაველა

ა.

არის ორი მწვერვალი ქართულ პოეზიაში: შოთა რუსთაველი ქცეული ლეგენდის ობიექტად და მოცემული გენიალურ და მუმბერაზ ხაზებში ფშაველი ვაჟა.

ორი პოეტური სახე, პოლიუსი ორი ქართული სინამდვილის პოეტურის. უკანასკნელი უმთავრესად ვფიქრობ იხედება, როგორც არტისტული მოგრეხა ქართული ყოფის. აქ უკანასკნელ სივიწროვემდეა დაყვანილი სიტყვა იაფეტური, რომელსაც ჩამობერტყილი აქვს მტვერი გავლილ უდაბნოების და ნიაღვარი ცხელი სილის. სიღაბი მისი არისტოკრატიულ იერით იყურება და ძარღვებში დადის სისხლი გაწმენდილი. რუსთაველი პოლიუსია საუკუნოების პრესში გაყვანილ მაგარ კულტურის, რომელსაც შემდეგში მოელის გადავარდნა მონგოლთა ურდოების კოლონებში.

ამიტომ მის ლითონ სიტყვაში უკვე ისმის 7 ცარიელ საუკუნის განწირული ხმა გამზადებული დაცემისათვის. სიტყვა მისი გახეხილია ბოლო კუთხემდე და ამღერებული ბიზანტიური მოზაიკით. სუნთქვა მისუსტებული თითქოს, სიცოცხლე დალეული და მოვლებული მთვარის სითეთრით.

ვაჟას შეგნება სიტყვის მოდის ბარბაროსული საწყისით. აქ სიტყვა პირველად დღესასწაულობს გაჩენას და კიდევ გაშლილია მ ი წ ი ს - დ ე დ ი ს გულზე. მის ტანზე ჩამოდის ღვლეებათ რძე. იგი მასიურია და მძიმე, სავსე უვერტიურების მოლოდინით, მოჭარბებული ენერგიით. მასში ისმის დიდი აკკორდებით საშინელი გრიგალი, მოვარდნილი მიწის გულიდან. ხვრელებით. იმართება სიცოცხლის გადამეტებული სურვილით.

ვაჟას სიტყვაში ილვიძებს ბრძოლის პათოსი და რკალის სიმკაცრე. იგი ძლიერია ქალაქის კულტურის მძულვარებით დე გალესილი დანის პირამდე. ყნოსავს მთების სურნელებით და ვულკანის ნიაღვარით. შემორტყმულია არაყის და სქელი ლუდის ატმოსფერით, მთელი ჯოგის ხორცის სიმსუქნით.

თითქოს სახნისია გავლებული სოველ და პოხიერ მიწაზე და როგორც მოუდრეკელი ბელტები დაყრილია ბალნიანი სიტყვები: წვიმაგარნი და აზიდულნი:

„არ რაღმე მეჭაშნიკება
სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.“

ასეთია პოლიარული შეგნება სიტყვის და შემდეგ შემოქმედების ორი საუკუნის, კულტურის წვერზე დასულის და სიცოცხლისათვის მოწოდებულ გენიის.

იქ სიტყვაში დატრიალებულია ნაპირზე მომდგარ სიკვდილის ინტუიცია, აქ—სიცოცხლის წინაგრძნობა.

იქ—სიმფონიური რკალით მოდის ძველი რასის მაისის მზემდე ასული კულტურის ციკლი, აქ—დისგარმონიულ ხვეულებში დუღს მომდგარი სიხალისე ცხოვრების გმირული ხილვისა.

ამიტომ ჩემთვის უფრო ახლოა, როგორც ობიექტი ფსიქოლოგიურ და პოეტური განცდის პოლიუსი პირველი, რომელშიაც გაიშალა საუკუნე კატასტროფის მოლოდინით; უფრო საყვარელია შორეული ვაჟა მოულოდნელ პერსპექტივით, ხელუხლებელ მადანებით, მაყვალ ფშანით და ბარბაროსულ ეფექტით.

ბ.

ვესელავსკი ერთ გამოკვლევაში „ეპიტეტის ისტორიიდან“ სწერდა: „არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ ისტორია ეპიტეტის არის პოეტურ სტილის შემოკლებული ისტორია“

მეტი გამბედაობით და დაჯერებით ითქმის ესევე ტროპის შესახებ, რომელშიაც მოცემულია მეტაფორა—ეპიტეტი, სინეკდოხი, შედარება და სხვა.

ეპიტეტი (ეპიტეტი მეტაფორა) პოეტური შემოქმედების ძლიერების სახეა. იგი არ არის გაყინული მოცემულობა, არამედ ბიოლოგიური მოვლენა. პოეტის ამღვრეული ხედვა, რომელშიაც მოდიან მოჩვენებანი სერაფიმებად, გადადის ტროპაში. და სახეებში. უკინასკნელნი, როგორც ირრეალურ[illegible]ის რეალური განცდანი, ხელშესახებ ნივთების სილუეტებით არიან გაცოცხლებულნი. სიტყვაში მოცემულია სახე (პირველი თესლი და იდეია. სიტყვა პრიმიტივში ძლიერია უფრო სახეობა, ვიდრე იდეურობა.

ამით აიხსნება ვაჟა-ფშაველის პოეზიის სიმდიდრე სახეებით. მისი პოეტური მახვილობა პირდაპირ პროპორციულია ხალხის გენიისა. პოეტის სიმაღლე და სისრულე განიზომება მისი სახეობითი „მსჯელობით“, წარმოდგენათა შორის სწორი პარალელების გაყვანით და დასკვნების სისტემატიზაციით.

უნდა ითქვას გადაჭრით: ამ მხრივ ვაჟა განმარტოებულია სპირალაზე, რომელიც მოდის მეცხრამეტე საუკუნის გზატკეცილებით.

შეიძლება სტატისტიკით დამტკიცება დებულების, რომ ვაჟამ უკანასკნელი გაშლა მისცა ეპიტეტის სვლას ქართულ პოეზიაში. მასი სიტყვა ჯერ კიდევ სახეა უფრორე და გაზომილია ემოციალური მხარით.

სახეები მისი „ქოთით მოდიან ღვარეებათ“, და ეს არის ვაჟას დიდი მიღწევის მამხილებელიც. აქ აღარ არის ის ტრივიალობა და ეპილეპსია სიტყვის სახის, რომლითაც მოწამლული იყო ბარის პოეზია.

ვაჟას პოეტური სახე გამჭვირვალეა პრიმიტივით და მის გადაღმა მოსჩანს იდუმალება თავგანწირვის.

ორი მიმართულებით მოდის პოეტური შემოქმედების რეალიზაციის ობიექტი: თვისებითის და ოდენობითის.

ვაჟამ არა თუ გაამრავლა ეპიტეტი მეტაფორა (მნიშვნელოვანი უფრო) და შედარება, ამავე დროს აამაღლა მისი თვისება შემჭიდროებით (ხშირად შედარება რამდენიმე სიტყვამდე აქვს დაყვანილი).

დებულების დამტკიცებისათვის საჭირო ა ვაჟას ლექსების და პოემების მუყაითი ანალიზი და მისი ერთი კოეფიციენტის ქვეშ მოყვანა. პატარა საგაზეთო წერილი ამისთვის მეტად ვიწროა და დაუტევნელი.

სხვა და სხვა შედარებათა ობიექტი. პოეტური სახის წონა და ღირებულობა ბევრად დამოკიდებულია შედარების მეტოდისაგან. მეტი სიცოცხლე. გარკვეულობა და მხატვრული სილამაზეა მატერიით და ფორმით მოცემულის ასეთივე თვისების საგანთან შედარებაში. ასეთ შემთხვევაში უფრო ბალღვანია წარმოდგენითი ენერგია და მისი ზღუდეები შემოფარგლული.

ამ შემთხვევაში ვაჟას ფანტაზია და წარმოდგენითი პლასტიურობა სრულყოფილია:

საკმაო მოყვანილი დებულების დამტკიცებისათვის შემდეგი სახეების დასახელება:

„ველზე ბრწყინავენ ყ ვ ა ვ ი ლ ნ ი
თამარ დედოფლის თ ვ ა ლ ე ბ ი“

აქ ხელ სახებ, მატერიით და ფორმით შემოფარგლულ საგანთა შორის წაშლილია შედარებითი ნიშანი და იგივეობამდე არიან დასულნი: ნიშანი „როგორც“ განდევნილია როგორც უდროვოდ შემოსწრებული სტუმარი.

„მთის კალთებს შვენის ც ხ ვ ა რ ძ რ ო ხ ა,
როგორც ლამაზ ქალს ხ ა ლ ე ბ ი“

„მთებში მოსჩანან ქ ა ლ ე ბ ი
როგორც ყ ვ ა ვ ი ლ ნ ი მ თ ი ს ა ნ ი“

„მტრის ჯ ა ვ რ ი გულში მიდგია
შავს ა ლ ა ზ ა ნ ი ს გ უ ბ ე დ ა“

მაგალითები შეურჩევლად მოყვანილნი არიან.)

ვაჟას პოეზიას ჯანსაღ და ამღვრეულ

სახეების დიდი ტვირთი მოაქვს. მისთვის სახე (образ) პოეტური შემოქმედების მთავარი ხერხია.

ვაჟამ ხალხურ გადმოცემაში ნახა დასაბამი მაღალი შემოქმედების და მდიდარი ინტუიციის.

ვაჟას ჰქონდა რეტროსპექტიული თვალი და მარჯვედ იხედებოდა ფშავეთში ფენებად დაწყობილ თქმულებათა შორის. როგორც ჯადოსანს გამოყავდა ძველი მოჩვენებანი და უმორჩილებდა მათ თავის ძლიერ ხასიათს.

ზვავებათ მოდიან რკინაში ჩამჯდარნი ახოვანნი: ზეზვა, ლუხუმი, გოგოთურ, აფშინა,

,,ხუზაურ გოგოლაური
შავარდენივით ჩქარია,
იანვარ ელისბარის ძე
გორის მდრეკელი არია
სუმელჯი სქმელჯიშვილი
ამომავალი მთვარია.,,

ეს არის ახალი ფანტასმაგორია, სადაც მოცემულია ჰომეროსის კოსმოგონია და ხალხის პირვანდელი პანტეიზმი.

შეუძლებელია გაგება ვაჟასი გარეშე ხალხის ლეგენდარული ყოფისა.

მისი ეპოსი ამოსულია კოლექტიურ შემოქმედების წიაღიდან და როგორც ზვინი ღგას წელ მაგარი და ზვიადი. პერსპექტივაა საჭირო რომ გახდეს შესაძლებელი მიჯნის გაყოლა პიროვნულ და კოლექტიურ შემოქმედებათა შორის.

გველეშაპების და დევების ფონზე ამოჭრილია ახალი სახეები ჩვენთვის მისაწვდომ განცდებით და ჟესტებით.

ეპიურ მსოფლმხედველობით არის შეკრული ეს მოგლეჯილი მთა. არის სხვაობა დიდი-ინდივიდუალური შემოქმედების ნიშანი.

ხალხურ პოეზიაში ეპიტეტი სახე მუდმივია და კონსერვატიული. ვაჟამ მისცა მას დინამიურობა და ცვალებადობა: გამოიყვანა აგრესიული ბუნებით.

როგორც ხალხურ ლირიულ ეპოსიდან მომდინარე იგი გამართულია და თავდადებული.-

სხვა მოტივებიც აქვს ვაჟას პოეზიას: ეს არის ეროვნულ სიდიადის ხილვის წყურვილი.

ეროვნული დაშლა და დეფორმაცია პოეტში იწვევდა რეაქციას და ნების კონცენტრაციას სხვა მიმართულებით. და ხედვა გადაიტანა წარსულში, სადაც დაცულია სრულყოფის პათოსი და იმპულსი ვაჟას ჰქონდა მომავლის ნათელი წინაგრძნობა და ამიტომ წარმოიდგინა ასე ცოცხალ ფერებში წარსული. დაასახლა იგი გმირებით: დევებით, ქაჯებით, ლეგენდარულ გველეშაპებით და ადამიანებით, რომლებშიაც უფრო მოცემულია ღვთაებრივი ხაზები.

ეს ფანტასტიური მოჩვენებანი დადიან შუადღის გალიუცინაციებივით „ღრიალით და დგანდარით“ ეპიურ სიდარბაისლით დასეტყვილ პოემებში.

ვაჟა მისწვდა მითიურ საწყისს. მას ჰქონდა ამისთვის გენიალური ინტელექტი და ნდობა წარსული საუკუნოების.

„ჰქონდა ქმედითი რწმენა იმისა, რაც სწამდათ მის გოლიათ წინაპრებს“.

მისი გზა იყო სასწაულის, მაშასადამე ხელოვნების და ამიტომაც შემოქმედებაში ბევრია გამოუცნობი დეტალები.

არის მეტაფიზიური იეროგლიფებიც, რემელთაც სჭირიათ გახსნა და ეს იქნება მომავალში, როცა პოეზია ისევ დაუბრუნდება თავის თავს-რელიგიურ საწყისს.

ხშირად ვაჟას განცდა დადის მისტიკის ძირამდე და მითიური სახეები იზომებიან სიმბოლოს მერიდიანებით.

გოეტე ამბობდა: ,,კლასიკურია ყველაფერი ჯანსაღი და რომანტიული ყოველი ავადმყოფური„ო.

თუ მივიღებთ ამ ფორმალურს ვაჟა იქნება პირველი კლასიკი, თუმცა ამავე დროს მასში მოცემულია მთელი რომანტიკა წარსულის, მთლიანი ცნობით. მოულოდნელი ფენომენია ქართულ პოეზიაში ,,გველის მჭამელი“. დიდი მაშტაბის და ტემპერამენტის. აღსანიშნავია ეს პოემა როგორც გადახვევა პოეტის მსოფლიომხერის სისტემაში: მარადი ტრაგედია, რომელიც იხსნება, როგორც დაუღწეველი ანტინომია ცხოვრებასა და შემოქმედების შორის. პირველი გადასული პოეტის ინტუიციაში როგორც მთელი, ყოვლადი და მეორე როგორც გამოჩინება ერთეულის, პიროვლი ანანული ქმედითი ძალის. უფრო შორეულოგია: კოლიზია ინდივიდუალურსა და კოსმიურს შორის.

პირველი ცხოველია მეორის რკალში თუ არის ეროსი, უზენაესი ჩაწვდომა სულში. ეროსი გზა ჭეშმარიტების შეცნობისაკენ მიმავალი-გზაა მხატვრული შემოქმედების მასთანავე. სხვა გზები პოეტისთვის მოჭრილია იმ თავითვე. მინდია პირველი ფენომენის ხატულობაა და მასში მოცემულია ჭეშმარიტება როგორც განცდილი სინამდვილე.

იგი სიმვოლიკის კოლორიტითაა მაგარი, ვინაიდან აქ სჩანს პოეტის გადასვლა მისტიურ სამყაროში და უკანასკნელი მისთვის უფრო რეალური განცდის ობიექტია.

ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი
რომ ლაპარაკობ ღმერთანა.

ეს არის უმაღლესი ჭეშმარიტება ერთი რეალობა მხოლოდ—დაღვრილი ყოველ მოვლენაში. აქ წაშლილია დისტანცია მიღმარსებულსა ადამიანს შორის პირველი მეორეშია ჩასული. ასე იხსენება მისტიური ხვეულები ვაჟას პოეზიაში და ყოველ მოვლენაზე აღბეჭდილია ღვთიური სიხალისე.

ეროსი ნატეხი სიბრძნის, ვინაიდან იგი აძლევს ერთი ფორმას და სულს ქაოს, დატეხილ სტიქიას. ,,ეროსი-შეცნობაა სამყაროს იდუმალების“ მინდიამ ,,შეჭამა გველა“ და გახსნა საიდუმლოება.

,,მას მუსაიფი დაუწყო
ცამ დედამიწამ ტყემაო“
ის ევებება სალმითა
ბუნებაც ვაშას უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა,
ყვავილნი ყელ გადაგდებით
დხაატულები კალმითა.
ნუ დამიბნელებ მზესაო
უიარაღო რომა ვარ
მიტომ მიყურებ ხესაო?“

და მინდიას სავსეს და მდიდარს ეროსის სხივებით ,,დაუნდუნდება მკლავები.“ მაგრამ არის გადაულახავი ფატუმი, წერა, ნასკვი ტრაგედიის ძაფების და მორჩილი მისი ადამიანის (გარე ადამიანის და არა ადამიანი ადამიანში ,,პლატონის გამოთქმა“) ნება სუბიექტური მისვლა საგანთან: აქ ჩდება მოჩვენება ცხოვრების კოლიზიისა. მინდია რომელმაც მიაღწია იდეია-ჭეშმარიტებას, ილუნება გარდუვალ წერის წინაშე ქრება ეროსი სიბრძნე. ჩდება უხილავი დისტანცია და იკარგება ნისლიან მთებში ღმერთი ჭეშმარიტება.

ასე მოდის მეორე სახე ერთი სინამდვილის დაყვანილი მსხვერპლამდე.

დავცარიელდი ცოდნითა
ყვავილნი არას მეტყვიან
აღარც ცნობა აქვთ იმათი;
განა მეტი ლა იქნება
კაცმა თავს უგდო ხიფათი?
აღარა მესმის ფრინველთი
აღარა მესმის ყანისა.“

ვინაიდან ,,დაჰკარგა სული და ხორცი“

ასე განიცადა ამ ,,ბარბაროსმა“ გენიამ კულტურის ტრაგედიის მეორე მხარე: იგრძნო ცარიელი დარბაზები კულტურის სასახლეში, რომელშიაც აღარ იყო ღმერთი ჭეშმარიტება და სული ეროსი.

თუ ,, ხელოვნება არის ტემპერამენტის სარკეში გატარებული ბუნების ნატეხი“ ყველაზე უფრო ამ პარადოქს ვაჟას პოეზია გაამართლებს,

მას მართლაც ჰქონდა ამისთვის საკმაო პათოსი და მატერიის შთაგონებითი ათვისების ტრადიცია.

ვაჟას პეიზაჟი მოცემულია, როგორც პოეტის სულის ლანშაფტი თავისი მკაცრი ხაზებით და ქრუში კოლორიტით.

არის ორი მიდგომა პეიზაჟთან და ორი განწყობილება სულის გადასული სიტყვის მუსიკაში.

პეიზაჟი გაშლილი, მოხაზული რბილი ხაზებით და დახურული ღვთაებრივ ლაჟვარდით. საგნები იკარგებიან ჩრდილებში და მოსჩანან მკრთალი ანარეკლები მხოლოდ. შეიძლება ხილვა მათი მხოლოდ ნუანსებში მასსა ძლეულია სივრცით და ამიტომ პოეზია ფორმალურია უმეტესად. ასეთია იმერეთიდან მოსული პოეზია.

ლარძაყინებივით დალაგებული უწვდენი მთები და ძირს გადაჩეხილი ნაპრალები სულში იწვევენ განწყობილებას მასიურს და სასტიკ რკალში მომწყვდეულს. ასეთი პეიზაჟი შესულია პოეტის შთაგონ ებაში როგორც მისი სულის იმანენტური მოცემულ ობა.

“მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსაც სამარეს ამკობენ,
თქენი დეკა და ღვიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანი.“

და მოდის შემდეგ მთის პეისაჟი, სადაც აღარ არის მოგზაურობა შორეულ გამოუცნობისაკენ და უსაზღვროებისაკენ. იგი დამდგარია როგორც მთა გამსკდარი, უფორმო მასსა, ვინაიდან ფორმა მატერიის ძლევაა მხოლოდ. აქ ყველაფერი კონკრეტული და გაზომილია. ვაჟას პოეზია მოდის როგორც სტიქიონი, რომელსაც ვერ უძლებს ფორმის სათუთი კანი და ამიტომ არის, რომ იგი ფორმის მხრით პრიმიტიულია, და მონოტონური. იგი შორს დგას ესთეტიურ ფორმალომიდან და ხშირად უახლოვდება ხელოვნების ძირს რელიგიურ მოტივს. ვაჟას პეიზაჟი ცალკე თემაა სრულიად და მის შესახებ შეიძლება ტომებით ლაპარაკი, მხოლოდ აღსანიშნავია მეორე პოლიუსი: პეიზაჟი მალიარიის, რომელიც შექმნა ტიციან ტაბიძემ. ამის შესახებაც თავის დროზე ცალკე მონოგრაფია დაიწერება უთუოდ.

იშლება კიდევ ახალი რკალი ვაჟას პოეზიიდან: კულტი ლაშა გიორგის და თამარის.

ეს არის ახალი თემა და მის შესახებ ცალკე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვაჟა პროტოპლაზმივით იყო შესული ხალხის გულში და მისი ინტიმურ განცდების მატარებელი. ამიტომ ჰქონდა მას მითიური შეგნება ისტორიულ პერსონაჟების და რელიგიური კრთოლვა მეორე მხრივ.

მთელი ვაჟას პოეზია ჩემ ყურში ისმის როგორც ძალოვანი მოწოდება: უკან დაკარგულ ბუნებისა და დ ე დ ა მიწისაკენ, სადაც სულია და ლტოლვა შორეულისაკენ.

შალვა აფხაიძე.

# გლოვა დათალხულისა.

ვინ არაკუნებს ამ ციხის კარებს?
ან ვინ იძახის ძველ გმირთა გვარებს?
ვინ მიხმობს გარედ? ვინ მაბოროტებს?
ქარი ხომ არ სტეხს უდროოდ ტოტებს?
—მსახურო ჩემო; არ გესმის? ადე!
ნუ თუ დაგხურეს გრძნეულის ბადე!
რჩეულმა გმირმა გზა თუ არია,
ან იქნებ უცხო მას გვირგვინს სტაცებს?
მაშ ერთხმად ეს რა გლოვა—ზარია?
ან რა აღელვებთ ჭაღარა კაცებს?
იქნებ ანაზდად მტერი დაგვეცა.
ძლევის ალამი ჩვენი დაკეცა?
ჩემთან აფრინეს შიკრიკი თადე?
—მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!

ვიღაცა ამტვრევს გაცრეცილ მინებს.,.
ვით შემოუვა მოაჯრის რკინებს?
აქ ვუდარაჯებ. რა დამაძინებს?
იქნებ ბოროტმა უხმო მაცილებს
და თვის მეგობრებს ჩემზე აცინებს,—
რომ მე ამ რიგად შემიპყრო შიშმა,
ჩემში იმტყუნა რაინდის ჯიშმა!?
—მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!
ხომ არ დაგხურეს გრძნეულის ბადე?
ციხის კარებთან ვიღაც სდგას შავათ!
სხვას არვის ენდო, ნახე შენ თავათ!

უცნობი ხელი ფარდას აბრუნებს,
ჟრუანტელს მივლის, გრძნობას აბრუებს.
მსურს დავუყვირო და ხმა მიწყდება,
მსურს რაღაც ვკითხო, მსწრაფლ მავიწყდება.
მსახურო ჩემო, არ გესმის? ადე!
ხომ არ დაგხურეს გრძნეულის ბადე?

ციხის კარებთან ჯერ არ ნახული,
შავის პირბადით მთლად დათალხული,
და დაყრდნობილი ნაცრის ფერს მკლავებს
ქვითინებს ქალი, ისველებს კავებს.
ვინ არის იგი? ან რაზედ ჰგოდებს?
კიდევ ჩემს გარდა ვის აღაშფოთებს?

—მსახურო ჩემო! მებრძოლო გელა!
ადე, იფხიზლე! მეჭირდება შველა.

ცრემლი წვიმს მკერდზე, გრძნობას აპკურებს.
კარს არაკუნებს, არ მასადგურებს.
ჩემს ობოლ ბაღში ქარი სტეხს ტოტებს,
შავს ამბავს მოსთქვამს და მაბოროტებს!

1922 წ ჯიაური.

სანდრო შანშიაშვილი.

# კაფეში

აილე სკრიპკა და თვალები დაეცა ნოტებს,
ულელტეხილზე შეკივლებამ მე გამაფითრა,
არხევენ ბროლის სარკეები ბამბუკის ტოტებს,
ალში გახვეულ ესტრადაზე თრთის პიუპიტრა.

შეიბოჭება ერთის წუთით ყველა სტუმარი,
კაფეში სანთლებს ძლიერება მოემატება,
ილიუზია შორეულზე სადმე თუ არი,
უძვირფასესი ვინეტკა დაეხატება.

მე ლურჯ მაგიდას, ვით ყვავილი ეკზოტიური
ვუზივარ მარტო და ხელში მაქვს გრაფინი ლუდის,
რა შნოიანათ იწერება ჩემი დღიური,
ო, ამ საღამოს მოგონების სურნელი უდის.

გრიგოლ ცეცხლაძე.

# ბიბლიოგრაფია

## ჟურნალი „ილიონი“

არავინ იცის რა ხალხის ორგ ანო ეს ჟურნალი.

აქ შეიძლება ითქვას რომ შეგროვილა ხალხი „ცისფერ ყანწების“ წინააღმდეგობით შეერთებული როგორც სხვაგან ყველგან ამ ჯგუფში მოლა მასრადინაც მწერლად გამოდგება, თუ, ც. ყ. წინააღმდეგ. წამოაყრანტალა რამე

„ილიონს“ უკვირს და საყვედურით შენიშნავს, რომ ჩვენ გვიყვარს ციტედელები: „ბარრიკადი“ „ბახტრიონი“—ალბად შეუგნებელი მიბაძვით, რომელიც ამ ჟურნალში ასე ბევრია, თვითონაც „ილიონზე“ გიჩერებულან. მაგრამ რა არის ეს ციხე „ილიონი“ რომელიც მხოლოდ იხტიოზავრის ხალხის მოგონებით მიაგავს წარსულს. სრულიადაც არ არის საჭირო ჭკუა მახვილობა ულისსის, რომ ეს ნაცარქექია ,,მწერლები“ საასპარეზოზე გამოიყვანო და სათითაოდ ყური აუწიო, ატმოსფერის მოწამლისთვის.

ქართველ მწერლობაში დიდი ხნით არის მიჩნეული რომ რომ ეს ხალხი თავიდან იყო ამყრალებული, წინად შეიძლება ეს გადამეტებაც ყოფილიყო, მაგრამ დღეს ეს უბედური ეპიგონები უკანასკნელი სირცხვილით ამტკიცებენ ამას. ჟურნალის სათაურის გარდა მიწერაც ანპანამდის აღებულია ,,ბარრიკადიდან“ როგორც პოეზია ესსეთიკა და სხვა. ჟურნალის ყდაც გაკეთებულია შარლემანისგან, ისეც მიბაძვით (ჟურნალში ც. ყ. უსაყვედურებენ რუსი მხატვრების მეგობრობას) თითქო შარლემანი რუსი არ იყოს და თითქო იმისთვის პირველად მიემართოთ (პირველი სირცხვილი). ჟურნალი იხსნება კოწია გამსახურდიას ლექსით (ალბად ალფავიტის გამო თორემ ასეთ სირცხვილს ილიონიც მოერიდებოდა.) ამ ლექსში არის უნიჭო მიბაძვა გიოეტეს ტემით და ფორმა უსინდისოთ აღებულია ს. აბაშელისგან, (გამსახურდიასთვის ეს არის ფროიდი, მაგრამ ეს სხვაგან აიხსნება) ს. აბაშელის სახელი მას აწვალებს, ჯერ ფსევდომით აყენებდა შეურაცყოფას, ეხლა უნიჭო ლექსის მიბაძვით იმ ფორმის, რომელიც ს. აბაშელს კიდეც დაავიწყდა. გვარის ფროიდი კი ასეთია: კოწიას არ სჭირია გამახრება. გვარში გამსახურდია: ორი სიტყვაა: მსახური და ხურდა ეს უკანასკნელად ამხელს მის ქამობას.

კოწია გამსახურდიამ მთელი ნახალობით სიტყვა სიტყვით გადაიღო ის რასაც მის მგოსნობაზე მაზე სწერდა ,,ბახტრიონი“ და მიაწერა სხვებს. მხოლოდ ამ მის ქათმის ჭკუას დაავიწყდა, რომ ის პოეტები რომელსაც ის აგინებს ობიექტები არიან შემომქმედების. მთელი ახალი პოეზია ლექსებში ხმარობს ამ სახელებს, მხოლოდ გამსახურდიას ,,მგოსნობაზე“ თავისაანსაც ეცინებათ თვითონაც დიდხანს ეჭვიანობდა, მაგრამ დღეს ნახალობამ დასძლია.

მისი მეორე ლექსი: ფრიდრიხ ნიცშე, აგრეთვე უნიჭო მიბაძვაა ყანწელების სონეტის, მაგრამ მას ეხლაც ვერ მოუხერხებია მართალი სონეტის წერა, თავი რომ დავანებოთ შინარსის პროზის რიტორიკას: ეს თავიდან დამარცხებაა ჟურნალის და მისი მესამე სირცხვილი,

ი. გრიშაშვილის ,,ჩემი ლოცვა“

ექპლოატაციაა პატრიოტიზმის პრიმიტიული ინსტიქტის (ფორმა აღებულია რ. ერისთავისაგან“) ქართულ მწერლობის ისტორიას კურიოზად დარჩება და ჟურნალს მეოთხე სირცხვილად) რომ ხარფუხელი სომეხი იოსება მამულოვი (რომელსაც ფსევდონიმიც ვულგარულ კინტოს რუსულით აქვს გადაკეთებული გრიშაშვილად) ჩვენ გვედავებოდეს ქართველობაში, და პატრიოტიზმში (შერცხვეს ის მწერალი ვინცეს ბედი ინატროს“).

მეორე ლექსი ამავე მგოსნის: ,,ქალს ულვაშებით კეპით და ჯოხით“ არის პირ აღებული პორნოგრაფია, მხოლოდ აზიური თუქსუსობით შეზავებული. ამაზე წინ დაცემა მწერლობის ვერ წავა და მხოლოდ წელგადასულ ქალწულებს მისი ჯგუფიდან შეუძლიათ ამის გამართლება.

,,ტფილისელი ვარ, არ გამკიცხავ, ვიცი ამაზე“

რომელ იდიოტს მოუვიდა თავში რომ ტფილისი სინონიმია კინტოობის აშოლანობის და მეოთხე ინტერნაციონალის (ეს არის მართლა ანტიპატრიოტიზმი და ეროვნული უსირცხვილობა). მიტომ გაუგებარია ლექსის გათავება იყოს ტფილისი—ეს ერეკლეს ძველი პარიზიო“ ალბად აქ ერეკლეს აბანოზეა ლაპარაკი (მაგრამ რად რცხვენია ავტორს). ავლაბრის ბაკების (ПОСТОЯЛЫЙ ДВОР“) პოეზიას უფლება აქვს უფრო გაბედული იყოს, რადგან ეს სირცხვილი ზოგს სათნოებათ ეწერება. მესამე ლექსი „ილბალი დისონანსებით“ ფორმა აქაც გ. ტაბიძისგან არის მოპარული მაგრამ ლექსს არ შევეხებით, რადგან ძალიან ინტიმიურია და საჭირო არ არის ავლაბრელთან ასე ახლოს მისვლა. შემდეგ არის ნინო თარიშვილის ლექსი ესეც იმ კატეგორიიდან არის ამიტომ არც ამას შევეხებით. მხოლოდ. ეს კია რომ ერთი ადგილის ტაპიორი და დენდი მხოლოდ ილოინის მწერლებს გონიათ სინონიმები. შემდეგ არის ლექსი მარიჯანის ,,განჯა“ მიძღვნილი ელლი ბერიშვილს, ეს ლექსი კარგია, მეტი პროვინციალობა რომ არ იყოს შიგ. აგრეთვე კარგია ი. მოსაშვილის ლექსი, მაგრამ საინტერესო ადგილები გავლენის ქვეშ არის დაწერილი. უთუოდ საინტერესოა. ს. ფაშალიშვილის „ჩემი გვარის მოსაგონათ“, მაგრამ ზედმეტად ემჩნევა გავლენა რომელზედაც წინად ვწერდით. ვიცით, რატომ რცხვენია ამის ს. ფაშალიშვილს, ადვილი შესაძლებელია მან წერა ისწავლოს (თავის ჯგუფში ის ყველაზე საიმედოა). პროზა მიმოხილველს არ წაუკითხავს მხოლოდ თვალი გადაავლო გარდელის „ცულლუტობას“ სადაც ეს ჯენლტმენი თავის თავს იდიოტს უძახის, ალბად ამიტომ იწვევს ლ. ქიაჩელს. შემდეგ დაბეჭდილია კოწია გამსახურდიას სტატია გოტიეზე, ამ საწყალს რომ სტილი ჰქონდეს. თუნდა ისეთი როგორც (ილია ალლაძეს რომელიც რატომღაც არ სჩანს ამ ნომერში) უკეთესად სთარგმნიდა გერმანულიდან და ნაკლები შიში რომ ჰქონოდა ამ ქურდობის აღმოჩენის მეტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთველიანა

**კამათი ს. გორგაძის მოხსენების გამო: „ორიგინალობის საკითხი რუსთველის შემოქმედებაში“ (წინასწარი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის წარმოშობის შესახებ).**

კამათი გაიმართა აგვისტოს 4-ს ხელოვნების სასახლეში. მოგვყავს მისი შინაარსი შემოკლებით.

პ. მირიანიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ამბავი ორიგინალურია, ე. ი. რუსთველის შემოქმედებას ეკუთვნის, და ავტორის განცხადებას პოემის წინასიტყვაობაში: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები ვპოვეო“ და სხვ., დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ წინასიტყვაობის ხანები ისეა არეულდარეული, რომ მთელი წინასიტყვაობა ნამდვილ აბდაუბდას წარმოადგენს.

გრ. რობაქიძე. სერგო გორგაძის მოხსენებაში არის ორიგინალური დებულება: „ვეფხის ტყაოსანის“ ფაბულა ორ ციკლს შეიცავს: ერთია არაბული (ავთანდილ, როსტევან, თინათინ და სხ.), მეორეა ინდოური (ტარიელ, ნესტან და სხ.), პირველი ციკლი იარიგინალურია, მეორე კი გადმოღებული (ან აღებული „ვპოვე“) ამ დებულებას მომხსენებელი ამტკიცებს უმთავრესად პოემის არქიტექტონიკის განხილვით, მისი აზრით, პოემაში სჩანს გვირისტი იმ სახეში, საცა პოემაში ორი ხსენებული ციკლი ხელოვნითი საშვალებით ერთიმეორეს ერთვიან. პირველ ციკლში მრავალია ქართული ხაზი (ესთეტიურად—რეალისტური). მერე ციკლში სადევგმირო ამბავია უფროორე (ესთეტიურად—ფანტასტიური: თუ გინდ „ქაჯეთი“). რუსთაველი ხანდახან განზრახ უპირისპირებს აღებულ ციკლს თავისას: (მაგ. ის. ხანა: „არ ქაჯნია, კაცნიაო“ და სხ.)

მთელი ეს დებულება აგებულია იმ შეცდომაზე, რომ მომხსენებელი იხილავს გარეგანს და არა შინაგან არქიტექტონიკას პოემისას. შინაგანი არქიტექტონიკის მიხედვით პოემაში ორი ციკლი არ არის: იქ არის მხოლოდ ორი მთავარი ხვეული ერთისა და იმავე ციკლისა: ავთანდილი და თინათინ და მათ პირისპირ ტარიელ და ნესტან. ღერძი პოემის სიყვარულია ორივე წყვილთა შორის,—მთავარი ამ სიყვარულში ტარიელ-ნესტანის სიყვარულია, წყვილობა რუსთაველს მისთვის აქვს გამართული, რომ სიყვარულის ხაზთან მეგობრობაც გაიყვანოს. მეგობრობა თანმდევია სიყვარულის,—აი რუსთაველის მალული ინტუაცია. ტარიელ-ნესტანის სიყვარულს გვერდით უნდა უდგეს ავთანდილის მეგობრობა, რომელსაც თავისი მხრით თინათინ უყვარს. აი პოემის ხლართი. ამ სახით თუ მივუდგებით პოემას, იქ ჩვენ ვერ ვპოვებთ სიყვარულის ისეთს გაგებას, რომელსაც მომხსენებელი იძლევა, მისი აზრია, და მეორე ციკლში არის ორი სახის სიყვარული: ერთი მარტო ხორციელი, (ფატმანი და მისი საყვარლები), მეორე „სიგიჟეში“ გადასული (ტარიელ და ნესტან). ორი სახის სიყვარულს თითქო ვერ ელებს პოეტი. მათ გვერდით უყუნებს იგი პირველ ციკლში უფრო განზომილ სიყვარულს (ავთანდილ და თინათან). წინანათქვამით ცხადია, რომ ეს აზრი მცდარია. რუსთველისათვის თავიდათავი „გიჟური“ სიყვარულია (ტარიელ და ნესტან) ფატმანის ამბავი მხოლოდ „ეპიზოდიურია“ და ავთანდილ-თინათინას ტრფობა თანმიმყოლია მთავარი ხაზის და როგორც ასეთი უფრო შენელებული, ერთი სიტყვით, პოემის შინაგანი არქიტექტონიკა სულ სხვას იძლევა, ვიდრე ეს მომხსენებელს ჰგონია.

შემდეგ გრიგოლ რობაქიძე შეეხო საერთოდ ფაბულის საკითხს. მისი აზრით, ფაბულა ფორმაა თვითონ (მხოლოდ სხვა სახის) და შეუძლებელია, რომ ნამდვილმა ხელოვანმა იგი არ შეცვალოს (თუ აღებულია): მაგ. „ფაუსტი“, „ჰამლეტი“, პტრისტან და იზოლდა“ და სხ.

ი. აბულაძე მოხსენების მთავარ ნაკლად სთვლის იმ გარემოებას, რომ მომხსენებელს საშუალება არა ჰქონდა პოემის ამბავი აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებთან, მაგალითად „ბარამიანთან“ შეედარებია.

ივ. ჯავახიშვილი უმთავრესად მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნებს აკეთებს. მისი აზრით, ჯერ თვით ტექსტი პოემისა უნდა იქნეს სისწორით აღდგენილი და მხოლოდ შემდეგ შეიძლება იმგვარათ საკითხების დაყენება, როგორიცაა საკითხები ამბავის ორიგინალობისა, ავტორის ვინაობისა და სხვ.—კერძოდ ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ, ოპონენტს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია პ. ინგოროყვას აზრი. ამ საკითხზე მოკამათე დიდხანს ჩერდება.—ოპონენტს უბრალო ტეხნიკური ხასიათის ხერხად მიაჩნია პოემის ავტორის არა ერთგზითი განცხადება მისი მჭიდრო ინტიმური სიახლოვის შესახებ პოემის ერთერთ მთავარ გმირთან—ავთანდილთან, და ამბობს, თითქოს მომხსენებელს ეთქვას: პოემის ავტორი თავისთავს ავთანდილისა და ფატმანის „სქესობრივი კავშირის“ მოწმედ სთვლისო.

ს. გორგაძე ოპონენტებს მხოლოდ მთავარ პუნქტებზე უპასუხებს: 1) პ. მირიანაშვილს იგი არ ეთანხმება იმაზე, თითქოს პოემის წინასიტყვაობა „აბდაუბდას“ წარმოადგენდეს; მართალია, გადამწერლებს ხანები გადაურევიათ, მაგრამ შეუძლებელი არ არის მათი ისე დალაგება, რომ „აბდაუბდის“ ყოველი ნასახიც კი დაიკარგოს (მომხსენებელი აღნიშნავს ამ მხრივ ნიკ. ეარრისა და ი. აბულაძის საყურადღებო ცდას ამ წინასიტყვაობის ტექსტის დალაგების საქმეში).

2. გრ. რობაქიძეს მომხსენებელი ვერ ეთანხმება იმაზე, ვითომც მოხსენების ტეხნიკურ ნაკლს მისი შესავალი და ბოლოსიტყვაობა წარმოადგენდეს; პირიქით, რადგან მოხსენება სამეცნიერო საზოგადოებაში იყო წაკითხულთ, საკითხის შესახებ არსებულ აზრთა (ე .ი. ლიტერატურის) წინასწარი კრიტიკილი მიმოხილვა და საკუთარი პოზიციის გამორკვევა მომხსენებლის პირდაპირს მოვალეობას წარმოადგენდა.—რაც შეეხება ბ-ის გ. რობაქიძის მეორე შენიშვნას, რომელიც მის სიტყვაში ძირითადად უნდა ჩაითვალოს, სახელდობრ იმის შესახებ, თუ რამდენად მჭიდროა ორციკლთა შორის არსებული გარეგანი და შინაგანი კავშირი. ამაზე თვით მოხსენებაში. ბევრია ნალაპარაკევი

3) ი. აბულაძეს. აღმოსავლეთის ლიტერატურაში, აღძრულ საკითხის გამაშუქებული ახალი რამ ფაქტი ან მასალა რომ ყოფილიყო, ბ. აბულაძე უეჭველია ან აქამდე დაასახელებდა ან დღეს მაინც გვეტყოდა; მაგრამ, როგორც ვნახეთ, მან დღესაც მხოლოდ იგივე „ბარამიანი“ დაგვისახელა, საიდანაც პარალელები ამ თექვსმეტიოდე წლის წინათ ჰქონდა უკვე დასახელებული. რამდენადაც საქმე პოემაში არაბეთის ციკლის გმირებს შეეხება და იმ ამბებს, რომელიც არაბეთში ხდება, იქ არ მოიპონბა არაფერი ისეთი რამ, რაც რუსთველის საკუთარი შემოქმედებით არ აიხსნებოდეს; სამაგიეროდ ბ. აბულაძის მეთოდოლოგიური შენიშვნა პირდაპირ დაუფასებელია მხოლოდ ინდოეთის ციკლის გმირთა და ამბავთა წარმოშობის გასაშუქებლად, ან, უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ იმ „სპარსული ამბავის“ შემადგენლობისა და ჩამომავლობის გამოსარკვევად, რომელიც რუსთველმა მზამზარეული ჰპოვა და, ჩვენი ჰიპოტეზის თანახმად, პოეტურად გადაამუშავა.

4) ივ. ჯავახიშვილის შენიშვნებში მომხსენებელი სავსებით ვერ იზიარებს იმ აზრს, თითქოს ამა თუ იმ ნაწარმოების ტექსტის აღდგენა შესაძლებელი იყოს, წინასწარ ან პარალელურად მაინც ისეთი ზოგადი ხასიათის საკითხების გაუთვალისწინებლად (ზოგადი ხაზებით მაინც), როგორიცაა ნაწარმოების დაწერის დრო, ავტორი, თვით თხზულების მთავარსაგანი (დედააზრი), მისი ზოგადი სტრუქტურა და სხვანი. ბოლოს, მომხსენებელი მწუხარებით აღნიშნავს, რომ, რაღაც გაუგებრობის ძალით, პატივცემულ პროფესორს მოხსენების ორი მომენტი (ერთი ის, სადაც ფატმანის და ავთანდილის პირველ გაცნობაზეა ლაპარაკი, და მეორე—სადაც მათი ხორციელი გატაცებაა აწერილი) ერთმანეთში აურევია და ისეთი შთაბეჭდილობა მიუღია, თითქოს მომხსენებელს ეთქვას: პოემის ავტორი ავთანდილისა და ფატმანის „სქესობრივი კავშირის“ პირადისმოწმეც კი იყოო. ამ გაუგებრობის გასაფანტავად, მომხსენებელმა მოიყვანა პოემიდან ის ხანა (1054), სადაც ფატმანისა და ავთანდილის პირველ გაცნობაზეა ლაპარაკი და არა „სქესობრივ კავშირზე“, და მოაგონა პატივცემულ პროფესორს, რომ ტერმინი „ინტიმური (და არა „სქესობრივი“) დაახლოებით მომხსენებელს ნახმარი ჰქონდა იმ მნიშვნელობით, რომელიც ხსენებული ხანიდან გამომდინარეობს, ე. ი. როგორც პირველი მომენტი „ინტიმური კავშირისა“.

**დამსწრე.**

## წერილი მონასტერს

„..., შენი და ელენე გავგზავნეთ მონასტერში.“
ბარათი სახლიდან.

ოდეს დაცვივდა ეს ფოთლები, ჩემს თეთრ ოთახთან!
ვიწექ სნეული ფერ მიხდილი და ავადმყოფი
ო! წუხანდელი საშინელი სიზმარი ახდა—
სისხლი ყოფილა მაგ კედლებზე ზამთრის ნაყოფი.
გავიგე დაო შენი ბედი მამის წერილით.
ჩემო ელენევ ჯერ პატარა და უსუსურო...
მომაგონდება მონასტერი წარსული წელით
თაფლის სანთელი... ძველი ხატი... ხავსი და სურო...
შენ შეგაფარეს მაგ გალავანს, ხარ მონაზონი!
ჯერ უცოდველი და ცოდვების მოსანანებლად
როგორ გავიგო ეს ქვეყანა არის ნაზომი—
შენი ცისკრები თუ მონასტრის ცრემლებს დანებდა.
შენ დაიჩოქებ ათი თითით, ათი წლის ბავში
და ევედრები წმ. ქრისტეს წმ. ნიკოლოზს,
პავლე მოციქულს პონტის ზღვაზე გატეხილ ნავში
და ატირდება აქ შენი ძმა თბილისის ბოლოს.
პატარა ხელით თმას გაიშლი ძმის სამარესთან.
ობოლი მთვარე და ლაჟვარდი გიცინის ცაზე...
საბრალო დაო შენც გაიგებ ჩემს სიმწუხარეს
და ეს დღეები მონასტერში გაივლის ასე.
აღარ გვქონია არც ერთს ბედი ჩვენს მცირე გვარში
მამის ცრემლებმა გაზაფხულზე ჩვენაც დაგვნამეს,
მიდის დღეები აქ თბილისში ვით გლოვის მარში
თან მუხლი მოდრეკით ველი საფლავს, მე ყოველ ღამეს.
შევხდები მუდამ მოქანცული მე დღე ხარებას
და ჩამოვჯდები იობივით ქალაქის მტვერში..—
ნაკურთხი ხატი... ბზის ტოტები—და სახარება
იყვეს მფარველი ჩემო დაო მაგ მონასტერში.

**ვიკტორ გაბესკირი.**

## ქრონიკა

**პოეტესხა ლილი მეუნარგიას გარდაცვალება**

სამეგრელოს სოფელ ციასში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა ახალგაზრდა პოეტესსა ლილი მეუნარგია, ასული ჩვენი ბიოგრაფი იიონა! მეუნარგიასი. პოეტესსა ლილი სულ ორი წელიწადია, რაც პოეზიაში გამოჩნადა. მისი ლექსები იბეჭდებოდა „მეოცნებე ნიამორებში“.

ქართველ პოეტესსებში, ლილი მეუნარგია მოშხამული იყო ნამდვილი პოეზიით და მას თავისი ხაზით ტეხნიკით და შემოქმედური შთაგონებით არავითარი ლიტერატურული კავშირი არ ჰქონია სხვა ქართველ მწერალ ქალებთან. ის მოვიდი როგორც უეცარი, როგორც უცხო და გერი. ახალ ქართულ პოეზიის რიგებში დაეცა თეთრი ნიამორი!,

**საქართველოს სიძველეთა რეევაკუაცია**

თანახმად მოსკოვიდან მიღებული დეპეშისა საქართველოს სიძველეთა სარეევაკუაციო კომისიას უკვე დაუთვალიერებია მოსკოვში არსებული სიძველენი და ნაწილიც ჩაუბარებია კიდეც. კომისია მიემგზავრება პეტროგრადში.

**ტერენტი გრანელის საღამო.**

კვირას 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ გრანელის საღამო.

სიტყვა: ტიციან ტაბიძის „უახლოესი პოეზია, ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე ს. ერთაწმინდელი, გობრონ აგარელი, ვიქტორ გაბეხკირი, რაჟდ გოგოხია. ტერენტი გრანელი წაიკითხავს ახალ პოემას: „სიკვდილის შემდეგ“-

## თეატრი.

**სუმბათაშვილ—იუჟინის იუბილე.**

მოსკოვიდან მიღებულ ცნობის თანახმად სექტემბრის 12-ს. მოსკოვის პატარა თეატრში ჩვენ თანამემულეს სუმბათაშვილ იუჟინს 40 წლის არტისტიული მოღვაწეობის აღსანიშნავად გადახდილი იქნება იუბილე. საინიციატივო ჯგუფი სთხოვს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს წარგზავნოს მოსკოვში თავისი დელეგატი იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

**მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის წარმოდგენები.**

სახელმწიფო ოპერაში აგვისტოს 12—ს ვახტანგ მჭედლიშვილის რეჟისორობით დაიწყო მეორე სტუდიის წარმოდგენები. სტუდიას ეტყობა დიდი სათეატრო კულტურა და მხატვრული დისციპლინა. დაწვრილებით წერილი მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

## შევარდნელის ხმა

შევარდენთა კავშირმა მიიღო „ბახტრიონის რედაქციისაგან 60 ცალი გაზეთისა უფასოდ, რაც დაუყონებლივ გავრცელდა ტფილისის შევარდნულ ოლქის ყველა საზოგადოებებში. ასეთი ყურადღება ქართველ ლიტერატორებისა შევარდენისადმი დიდი მადლობის ღირსია. ახალი პოეზიის წარმომადგენლნი და ახალგაზდა ქართველები—შევარდნები ადვილად გაიგებენ ერთი-ერმანეთს. ერთნი ეტრფიან გონების ლა სულის სიმძლავრეს და სილამაზეს. მეორენი კი ტანის და სულის სიმძლავრეს და სილამაზეს შეერთებული ძალებით ბრძოლა ჰარმონიისაკენ გზას გაგვიკლევს.

მაშ გაავრცელეთ „ბახტრიონი“ შევარდნებში გააცანით მათ ახალი პოეზია, ლიტერატურა; ყველას იმას ისინი ადვილად შეითვისებენ; შევარდენს ყველა ვერ იცნობს, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ არავინ იცნობს. შევარდენი ხალხში უნდა გადავიდეს, ყველა ქართველი შევარდენი გახდეს და აღიზარდოს ჯანსაღი სულით, ჯანსაღ სხეულში. ამით შესდგება ახალ მოდგმის ქაოთველთა მრწყობრი, რომელიც წავა წინ საქართველოს აყვავების გზაზე.

**ერთი შევარდენთაგანი.**

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი მიეკუთვნება საქართველოს უდიდეს მხატვარს—ნიკო ფიროსმანს.**

---

სისტემასაც მისცემდა კომპილაციას, მაგრამ ამის მოთხოვა არ შეიძლება ანაზდეულად შემოპარულ კაცისგან. ჟურნალ „ილიონში“ რომ ამდენი უნიჭო და უხეირო ბალასტი არ ჰქონოდა მას გაამართლებდა ბ. გიგო რცხილაძის წერილი „აცდენილი ტიპები“, აქ არის დაკვირვება, ანალიზი, ჭკუა და მეტი კონკრეტობაც რომ ყოფილიყო უნაკლო წერილი იქნებოდა. თუმცა ამ ნეხვში მხოლოდ მჭრელი თვალი თუ შეეცდება მის დანახვას.

შემდეგ იწყება ბიბლიოგრაფია: მართალი რომ ითქვას ჟურნალი სწორედ ამიტომ არის გამოშვებული. მას არ აქვს წინ არაფერი იდოლოგია (ამის შესახებ გერმანელ ბროშურებიდან არ შეიძლაბა თარგმნა და არც ძველ „მოამბის“ ნომრებიდან ამოჭრილ წერილებშია რამე ამის შესახებ) მაგრამ აქ იდეოლოგია რა საჭიროა, ამ ჟურნალის იდეოლოგიაა ც. ყანწების გინება და ლექსიკონები ამისათვის ხარფუხშია მოცემული და მისი ბრმა იარაღი და ფსიხოპატი კარგად იზეპირებს, ამას. ჯერ არის „პოეზიის დღეების“ გარჩევა, პირველი ომი აქვეა წაგებული თურმე ძველ მწერლების ისინი ვაჭრობენ, ჩვენ გვქონია შემთხვევა მათი პატივსცემის, არამედ იმ უსქესო, ჟწლებო და უასაკო ხალხზე, რა და ნეუდაჩნიკებზე რომელნიც დაეპატრონენ ამ კავშირს და აუპატიურებენ მწერლობას. თურმე ძველ მწერალთა პოეზიის დღეში ყოფილა სინდისი და პატიოსნება მთელი მწერლობის (ამას ქვია თავდამბლობა) თურმე გ. ტაბიძის მეთაური (უკეთესს მეთაურებს იოსებ იმედაშვილი სწერდა) რომელმაც ისე აიგდო ეს გაზეთი, რომ ლექსიც კი არ დაბეჭდა თუმცა ბათომის პოეზიის დღეში გამოჩნდა შემდეგ ეს ლექსები) ყოფილა ყველაფერი, თურმე კოწიას დაუწერია ობიექტიური მიმოხილვა პოეზიის, იმ კოწია გამსახურდს რომელიც თავის თავზე სწერს:

„უჩვეულია ქალაქის პოეზიის ისეთი **შედევრი**, როგორიცაა კ. გამსახურდიას „ანტექრისტე ქალაქში“ გამოკვეთილი დაბროლებულ ენერგით სავსე-სტროფებში აქ მოცემულია „ნახშირის, ორთქლის ელექტრონის, რკინის და რვალის პოეზია, ვერხანს გაგონებთ მაგრამ მისტიური ელფერით“.

აშორდიას კაცი ასე არ უნდა განახალებულიყო, ვერხარნის თარგმნა არც ასე ადვილია (ამაზე მარუთაც სწერს „ილოინში“(ც)—მაგრამ შედევრი და გამსახურდია, ეს ხურდა თავის დღეში ვერ მოსჭრის თავის ფულს და ვერხარნი ილიონელებს, მართლა ილიონის მანეთიანი თანამშრომელი ხომ არ გონიათ?

თურმე ახალ მწერალთა კავშირში ერთი პოეტი არ ყოფილა და აზ ზეპირ დეკლარაციის შემდეგ მთელ არტილერიას ხარჯავენ იმაზე თუ რატომ დაირქვეს: პოალო, ტიციან და კოლაუ და სხვა ყანწელებმა და ეს ვაჟბატონი, რომელსაც გონია ვერავინ გაიგებს ვინ წერს ქვეშ, აწერს წერილს ზიგფრიდ გუბაძე (ზიგფრიდი აბაშისპირელი ხომ არ არის, ან ვაგნერს ხომ არ დაურქმევია გერმანიაში ქართველ სამხედრო ტყვეების ჩამოყვანისას. ამას აქვს თავის ისტორია, რომელსაც შემდეგში ვახსენებთ თუ ის თავს აიგდებს. შემდეგ მაღალი სტილით ნაქებია გრიშაშვილის მეორე წიგნი (ადარებს პეტრარკას, მერამედნჯერე სირცხვილი) ლეო შენგელაია ქიაჩელი (რომელიც ლამის ტალსტოის გაუსწოროს) საიდან არის ეს რუსული ანალოგიები (?) შემდეგ ნაგინებია ვ. გაფრინდაშვილის ნ. ბარათაშვილის თარგმანების წიგნი (თითქო ი. გრიშაშვილს სახელმწიფო ხარჯით არ გამოუცეს თავის უნიჭო ლექსების უნიჭო რუსული თარგმანი) აი მართლა ხარფუხელი ჰოტენტოტის მარალი, შემდეგ დაწუნებულია ვ, ბარნოვის სტილი (რამდენი ნახალობა შესწევს ამ ყარაჩოღელს რომ ბარნოვიც კი არ დაინდოს და თავის კინტოური ენა მოაჩვენოს მაგალითად (ვინ აბედიებს ამ მასხარას რომ გადააჯდეს მწერლობას) შემდეგ ხელწამოკრულია ზ. ჭიჭინაძე, რომელსაც გუშინ იუბილე გაუმართეს და დღეს საგინებელ სახელად მოყავთ, მარტო იმიტომ რომ ზაქარია ჭიჭინაძემ გაბედა ეთქვა, რომ ბაყალის და მეხაშის ლექსების წერა არ შეიძლება. იმ ჭიჭინაძის, რომელის ექსპლოატაცია ჯერაც არ გათავებულა, ამასაც ექნება გაგრძელება. მართუა შუამდინარელი შემდეგ აბაშელი გამოყვანილია ხელოვნურ პოეტად. სწერს ვერხანზე (მართლა რომ მიწა ინძრეს რომ ეს ხალხი წაიტოს თან, რა საჭირო იყო ამ ნაგვისთვის ილიონის ხელის წაკიდება. ამ ტალახს მტკვარი გარეცხავდა, აქ არ არის ერთი წუთი დასვენება მწერლობის, ეს არის გაანჩხლებული ხალხის დედის გინება, ჩვენ ყოველთვის მოვერიდებით შემდეგში მათზე წერას, ლეში კიდევ შეიძლება მოითმინო გასიპული, მაგრამ ეს შმორის სული მოწამლავს. ყველაფერი ეს სიბინძურე აშენებულია იმ გეგმით რომ ბრძოლა გადატანილ იქნეს პოეზიიდან ჭორების ინსინუაციის რკალში, აქ მთავარი საექსპლატაციო საგანი იგივე პატრიოტიზმია ჩვენ ზედმეტად მივაჩნია ხარფუხელ სომეხს ქართველობაში ვედავოთ, ვერც კოწია გამსახურდიასთან წერილებს დავსწერთ ლენინზე (უფრო პიკანტურ წერილზე შემდეგ იქნება ლაპარაკი) ჩვენ არ გვინდა პოპრიშჩინის დიდება, მაგრამ მასხარაობაა, ეს პსიხოპატი ციხეებით იმუქრებოდეს, იმ ციხით სადაც ამდენი სირცხვილი სჭამა.

ჩვენ არც „ლაუტენის ნიჩბის„ გერმანომანია და დიპლომების ფალსიფიკაცია გვატყვევებს ეს სასაცილოთ დარჩეს რუსთაველის ბროსპექტს მხოლოდ გვწყენია, რომ ამ უპასუხისმგებლო პსიხოპატს ეფარება მართლა მწერლები.

შემდე ბევრგ ნომრებში ნახსენებია „ბახტრიონის“ განცხადებები, განცხადებები ხომ ცნობის ფურცელსაც ჰქონდა, თვითონ ილიონსაც აქვს ერთი განცხადება, რომელიც ააშკარაებს ამ წუწკი ხალხის ამლაპარაკებლებს, ეს არის „ცეკავშირის“ განცხადება, ალბად ეს გამოცემაც ამ კოოპერატივების კავშირისაა, რა უნდა ითქვას, ვთხოვ ცეკავშირს იმ მისამართით როგორც გამოცხადებულია თავი დაანებოს ასეთ მეცენატობას, ილიონის მაგიერ ერთი მაგარი კუბო უყიდოს კოოპერაციის სახელით რომ შიგ ჩალურსმონ ეს უსირცხვილო მწერლები. თუ მანამდი ამ სიმყრალემ ეს მეცენატიც ისე არ გააქცია, როგორც „ლომისას“ მეცენატი.

ჩვენ ვეცდებით ეს წერილი იყოს უკანასკნელი, და ეს გვარებიც უკანასკნელად ნახსენები. ჩვენ გაზეთში რადგან მათზე წერა შეურაცყოფაა მწერლობის.

**ბახტიარი.**

რედაქტორი: გიორგი ლეონიძე.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების მთლიანი სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება

# ზ ა კ ტ პ ლ

მისამართი: ტფილისი პლეხანოვის პრ. № 138. ტელეფონი: ქალაქის № 1—75; სამსახურისა № 11.

## ძირითადი თანხა 1.500.000 მან. ოქროთი

აწარმოებს ოპერაციებს:

1. ექსპორტი და იმპორტი შინაგანი და საზღვარგარეთისა
2. სასწრაფო და ხელსაყრელი რეალიზაცია ყოველგვარ სავალიუტო საქონლისა როგორც:
   აბრეშუმი, მატყლი, ფრიზონი, აბრეშუმის პარკი, ბამბა, ბეწვეული, ხე—ტყე და სხვა
3. ამიერ კავკასიის ნაწარმოებთა რეალიზაცია, რ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საზღვრებში, როგორც: ხილეულობა, ღვინო, კონსერვები ყველი და სხვა
4. ბითუმი გაყიდვა პირველ საჭიროების საქონლისა როგორც:
   ფქვილი, შაქარი, ჩაი, ყველი, ერბო, საპონი და სხვა
5. ყოველგვარი საკომისიო ოპერაციები

### საკუთარი წარმოებანი

1. კარაქისა 2. საპნისა 3. სარძევე 4. ყველისა 5. კონსერვისა: 6. თევზეულობისა 7. წამლებისა და სხვა სასოფლო—სამეურნეო და საქარხნო—საფაბრიკო წარმოებანი:

### წარმომადგენლობანი და კონტორები.

**კონსტანტინოპოლი:** სპარსეთი—ბენტერგაზ. **ბათუმი**—მიხეილის ქ. № 8. **ბაქო**—მილუტინის ქ. № 3. **კავკავი**—მარიინის ქ. № 10. **არმავირ**—ფოსტის ქ. № 93 **როსტოვი**—სადოვაია ქ. № 13. **მოსკოვი**—ნიკიტინის ქ. № 13.

**საუბნო ფილიალური განყოფილებები (უ ჩ ტ პ ო).**

ბათუმი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური, ტფილისი, განჯა. აჯიკაბული, ბაქო, დარუბანდი, ალექსანდროპოლი, ნახიჩევანი.

---

# საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

აცხადებს, რომ იგი იჯარით სცემს შემდეგ წარმოებს:

1. **სახელ. ტყავეულ. საპნის ქარხანას ყოფილ ბასსენცოვებისას** ვორონც. ქუჩა № 122.
2. **სახელმწიფო საპნის ქარხანა ყოფილ კოჩიევისას** კახეთის ქუჩა № 64.
3. **სახელმწიფო საპნის ქარხანა ყოფილ ერობათა კავშირისას** კახეთის ქუჩა № 68.
4. **ლუდისა და ყინულის ქარხანას ყოფილ სიხარულიძისას** დიდიმთავრის ქუჩა № 68.
5. **საგალეტო პურის საცხობი ქარხანა № 1 ყოფ. ხარაზოვისა** ახმედის ქუჩა № 6.
6. **ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა** ლორის-მელიქოვის ქუჩა № 9.
7. **გამწმენდი (чесальный) განყოფილება ყოფ. ზარგარიანცისა და ფარტახარიანცის ქარ.** ორთაჭალაში.
9. **ფაბრიკა „ტექსშილ“** ორთაჭალაში.
10. **კირის ქარხანა ყოფ. ჩარექოვისა** ქუთაისში.

იჯარის მიღების შესახებ განცხადების შემოტანის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია ამა წლის 10 აგვისტო.

დაწვრილებითი პირობების გაგება შესაძლებელია **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ საწარმოო განყოფილების საიჯარო სექციაში № პუშკინის ქუჩა, № 3.**

**9 საათიდან 3 საათამდე.**

---

# ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის

## საიარმუკო ბიურომ

## დაარსა თავისი წარმომადგენლობა ნიჟნი-ნოვგოროდსა და ბაქოს იარმუკებზე

სადაც განკარგულებაში აქვს შენობები ექსპონატებისთვის და საწყობები საქონლისთვის.

**ილებს გასაგზავნათ საქონელს** ნიჟნი-ნოვგოროდსა და ბაქოში **თავისი აგენტების თანხლებით ხელსაყრელ პირობებში.**

**ილებს დავალებებს** სახელმწიფო დაწესებულებებისგან, კოოპერატივებისგან და კერძო პირებისგან **ნიჟნი-ნოვგოროდსა და ბაქოში საქონლის სყიდვა-გაყიდვაში მინიმალურ საკომისიოთი.**

**მისამართი: ტფილისი** - ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის საიარმუკო ბიურო (ბარიატინსკის ქ 6).

**პროვინციაში** ა. კ. საგარეო ვაჭრობის განყოფილებებში.

---

# ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს, რომ გარდა ამ ჟამად მომქმედ თბილისისა და ბათუმის ქალაქის სადგურებისა, 1-ლ აგვისტოდან ა. წ. მუშაობას იწყობს

## ბაქოს ქალაქის სადგური

ქალაქის სადგურები აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს: ბილეთების გაყიდვას როგორც ადგილობრივ ისე პირდაპირ მიმოსვლის მიმდინარე და შემდეგ დღეების მატარებლებზედ, რომლებიც გადიან არა უგვიანეს ერთი კვირისა, ყველა სისწრაფის და მიმოსვლის ბარგის და ტვირთის მიღება და გაცემა როგორც ქალაქის სადგურზედ ისე სახლებში, მაღაზიებში. საწყობებში და საერთოდ ქალაქის ფარგლებში.; მოზიდვა ბარგის და ტვირთის სადგურიდგან სახლებში, მაღაზიებში და სხ. ქალაქის ყველა ნაწილებში. ოპერაციები სწარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდგან სალამოს 3 საათამდის. კვირა და უქმე დღეს—10 საათიდან 11 საათამდინ. შეკვეთა ტელეფონით.

---

# ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

**21** აგვისტოს იწვევს იმ პირთ, ვისაც სურთ მიაწოდონ რკინის გზას ფანჯრის მინები რაოდენობით 1,5 მილიონი კვადრ. ვერშოკი, სისქით 2—3 მილიმ.

მინების მიწოდების მსურველებმა უნდა წარადგინონ წერილობითი განცხადება, ჩადებული კონვერტში, ფასის ჩვენებით და მინების მიწოდების პირობების აღნიშვნით შემდეგი მისამართით: თბილისი, სამმართველო—ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამეურნეო მატერიალურ ნაწილის (служба) უფროსს.

განცხადებები უნდა ჩაუშვან ხსენებულ ნაწილის კანტორასთან არსებულ ყუთში აღნიშნულ ვადაზე ან გადაუგზავნონ ფოსტით დახურულ კონვერტში ზემოაღნიშნულ მისამართით შემდეგი წარწერით: „21 აგვისტოს კონკურენციისათვის“.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე: 1) ტფილისში: სამეურნეო-მატერიალურ ნაწილის მომარაგების განყოფილებაში, 2) ბათუმში ამიერ კავკასიის რკინის გზების ბათუმის მატერიალურ საწყობის ზედამხედველთან.

---

# საქართველოს ს.ს.რ. მთლიანი სამხედრო კოოპერატივი.

მართველობა: ტფილისი ელბაქიძის (ვერის) დაღმართი № 12 ტელ. № 17—82.

საქონელს იძენს ფულით და საქონელზე გადაცვლით

**1. გახსნილია მაღაზიები:**

1) **უნივერსალური მაღაზია** რუსთაველის ქ. № 40 ტელ. № 2—12, სადაც მოთავსებულია: სამანუფაქტურო, ჭურჭლეულობის (მინანქარის), საგალანტერეო, სურსათ-სანოვაგისა და სასმელების განყოფილებები.

2) **მაღაზია კახეთის მოედანზე № 1** სადაც მოთავსებულია: რკინეულობის და ტეხნიკური მასალების განყოფილებები.

3) **ღვინის სარდაფი** სერგიევის ქ. № 4 და 4) **საწყობი** საპიორის ქ. № 18.

**2. კოოპერატივის დუქნები:**

1) სამოსწავლო ათასეულში, 2) 1-ლ ლეგიონში, 3) დივიზიის ლაზარეთში, 4) საარტილერიო დივიზიონში და 5) საინჟინერო დისტანციაში.

**3. ქალ. ქუთაისში—ცენტრალური კოოპერატივის განყ-ბა:**

**4. ქალ. ტფილისში:**

1) **ხე-ტყის ქარხანა** ღებულობს შეკვეთებს, 2) **ფურნე** და 3) **საავტომობილო გარაჟი.** გარაჟი იღებს ტვირთის გადასაზიდათ შეკვეთებს. ყველა ეს მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე № 2 ტელ. № 16—60.
4) **ბაღი** საინჟინერო ქ. № 8 სადაც იყიდება კულტურული მცენარეები, თესლეულობა და მწვანილეულობა.
5) **მამული „ბოზგას-კიასან“** ბორჩალოს მაზრაში, 1600 დესეტინა სარძეო მეურნეობით, ყველის ქარხნით, ლორის ჯოგით და სათიბით.

გაიხსნა ტფილისში—(ბერძნ. პასაჟში) და ახლო მომავალში გაიხსნება **საექსპედიციო—სატრანსპორტო—სავაჭრო—საკომისიო კონტორები ქ.ქ. ბათუმში, ბაქოში და სხვ.**

---

# მთავარი ტყავკავშირი

## ს.ს.ს.რ. ს.მ.უ.ს.

თბილისი ვორონცოვის ქ. № 82. ტელეფონი 3—08.

ტყავკავშირის უწყებაში

## ტყავეულობის ქარხნები

## ქეჩების ფაბრიკები

## ფეხსაცმელების ქარხნები

## სასარაჯო საუნაგირო და ტანისაცმელის სახელოსნოები

**მიიღება შეკვეთა ტყავეულ და ქეჩების ნაწარმოების როგორც არმიისა, ისე საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა საჭიროებისათვის.**

**განყოფილების მაღაზიებში** (სომხური ბაზარი, №№ 6 და 62).

**ეძლევა ყველას ბითუმად და ცალობით ყოველნაირი ფაბრიკატები თავის წარმოების.**

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000.
სამხედრო სახლვთო კომისარიატის სტამბა